პარასკევი, 1918 წ. მარიამობისთვის 9 № 156

პარასკევი 1918 წ. მარიამობისთვის 9 № 156

წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმისამართოდ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღეს.

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მთელი ხანი თვით და ღირს — 18 მ. თვეში (მიწოდება შინ მოტანით) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის მეოთხე გვერდზე 50 კაპ. პირველ გვერდზე — 80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებებში ფასი ორჯერ მეტი. ნაბეჭდი განცხადებები თითოეული ზომით: 20×2=15 მანეთი, 30×2=20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. პროვინციაში 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორის შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 6 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ლატარია

აბარაქ ქვიშხეთში საუკეთესო კარმიდამოს ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ უფლად უდავო. მოგებას შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვს დარიგებული გასასყიდათ. უკვე გასყიდულის წიგნაკების ფული უნდა ჩააბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანს (ნატარიუსი, ერევნის მოედანი სასტუმრო „კავკაზის" ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. იმ დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისთვის საგანგებოთ მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით გურამიშვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ქ. თბილისის კომიტეტი.

ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცნობებს რომ ვისაც ჰსურს რაიმე დავალება სხვა და სხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის ყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და გვაცნობონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების

წევრობა მოვალეობაა ყოველი ქართველი ინტელიგენტისა.

საჭიროა საზოგადოების გაძლიერება წევრთა სიმრავლითა და ნივთიერის დახმარებით.

ვისაც სურს და ჯერ კიდევ არ ჩაწერილა, შეუძლია ჩაეწეროს ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების წევრათ თამარ ჯაფარიშვილის ასულთან, ფრეილინის ქ. № 11, ეროვნულ საბჭოს ქონებათა სამმართველოში, 9—3 საათ. და გერმანელთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე კირხის ქ. 25 დილის 10—12 ს. და საღამოს 6—8 საათ. 6—4

გამოქცეულები

რუსულ-სომხურ გაზეთებმა უკვე ასტეხეს განგაში იმაზედ, რომ საქართველოს საზღვრებში მთავრობა არ უშვებს ლტოლვილების ახალ ტალღებს და რადგანაც სასურსათო კრიზისი უკიდურესობამდე მისული, რადგანაც სხვადასხვა ავადმყოფობა და სენი, ეპიდემია ედება ჩვენს ქვეყანას—იგი ზომებს იღებს ახალი ასი-ათასობით მოწოლილ გამოქცეულთა არ შეეჭამის ის მცირედიც, რაც მოიპოვება, არ მოსდოს ჭირი მთელ ქვეყანას.

მათ „დემოკრატიული" გოდება სრულიად არ ეთანხმება არც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და არც საქართველოს დემოკრატიის ინტერესებს. საქართველოს დემოკრატია ერთად-ერთი ელემენტია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის რომ იცავს უკიდურეს დემოკრატიულ წყობილებას და ინტერესებს და აქ შემოდიან ელემენტები, გაცილებით დაბლა მდგარნი შეგნებით და ორგანიზაციით—გამოქცეულები, რომელთა უამრავი რიცხვი დემოკრატიულ დონესაც ამდაბლებს და მატერიალურ დანაკლისსაც აყენებს ხალხს როგორც პირდაპირი სანოვაგის განადგურებით, ისე საერთო ხელფასის დაცემით. ყველა კულტურულ და დემოკრატიულ ქვეყანაში იღებენ ზომებს ასეთი არა დემოკრატიული მოვლენების წინაამდეგ. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკა მისი სასტიკი კანონებით.

მაგრამ ჩვენ მარტოოდენ ამ დემოკრატიული თვალსაზრისით არ ვხელმძღვანელობთ, როცა სრულის თანაგრძნობით ვხვდებით მთავრობის და მისი აგენტების განკარგულებას—ჩვენ გვალაპარაკებს უკიდურესად ეროვნული ინტერესი. შეუძლებელია ორი სამი მილიონიანმა ხალხმა იტვირთოს შენახვა და გამოკვება, მთელი ნახევარი მილიონზე მეტი გამოქცეულებისა, რომელთაც საშუალება აქვთ დასახლდნენ თავიანთ საკუთარ სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; ეს სახელმწიფოებრივად; და ჰუმანიტარული თვალსაზრისით თუ შევხედავთ და ზნეობრივად — უცნაურზე უცნაური მდგომარეობაა: დიდი რუსეთი, რომელმაც შეიწირა პატარა სომხეთის ერი, და რომლის ინტერესს შეაკლა თვით სომხეთმა და რომლისკენაც ეხლაც აპყრობს თავის თვალებს—უარს ამბობს ლტოლვილების მიღებაზედ, გზას უკეტავს მათ და პატარა საქართველომ კი უნდა იტვირთოს მათი შენახვა, როდესაც მთელი ამის განმავლობაში ამ ლტოლვილების ხელმძღვანელთ არა გაუკეთებიათ რა გარდა ქართველი ერის და საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარა მტრობისა.

ახირებული პრეტენზიებია და ჩვენ დიდათ გვწამს რომ უკანასკნელი განგაშიც ლტოლვილებზედ მხოლოდ კიდევ ერთი ქვაა, გადაგდებული ჩვენი სამშობლოს მტრებისაგან და არა სიყვარულით გამოწვეული ზრუნვა ლტოლვილებზედ, ზრუნვა მათზედ შეუძლიან რუსებს და კი არა ზრუნავენ, ზრუნვა-მოვალეობა სომხებისა და ამის მაგიერ რომ გაათბონ და დაჰპურონ თავის საკუთარ რესპუბლიკაში, თუნდაც ჩვენგან მიღებულ ოთხმოც მილიონის საშუალებით—სომხები ერეკებიან მათ ალაზნის და მტკვრის ველებში. სამართლიანობა და სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს ჩვენი მთავრობისაგან და სომხეთის მთავრობისაგანაც მოვალეობა სომხეთის გამოქცეულების წინაშე დაეკისროს სომხეთის მთავრობას და სომხეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

შეკითხვის გარშემო

ჩვენი მორალური გამარჯვება, რომელზედაც ვსწერდით საქართველოს მთავრობის პირველ დეკლარაციის შემდეგ, სოციალდემოკრატიას მეტად მოხვედრია გულზედ და იმის აქეთ მათი ბელადი ბევრ ორი თვეა ყოველ სხდომაზედ უბრუნდება ამ თემას და ვერ გააბათილა მისი მნიშვნელობა. პირ იქით, კამათის მოსპობითა სურთ ეხლა საქმის გამოსწორება.

ჩვენი შეკითხვაა ოსებზედ. მთავრობის თავმჯდომარემ „არა სერიოზულად" ჩასთვალა იგი, რადგან წინასწარ ვერ გაეცნო შინაარს, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ „აუხსნა" და საკმაოდ შეგვახსენათაც, რომ რეგლამენტი არ დარღვეულა და მთავრობას შეძლება აქვს პასუხისა. შემდეგ კრებაზედ შინაგან და გარეგან საქმეების მინისტრმა ჩასთვალა იგი „ფრიად მნიშვნელოვანად", დაიგვიანა გაჩერდა მაზედ და შეეცადა ესეთი „მავნე" შეკითხვის შედეგები გაექარწყლებინა საკითხის სხვა ნიადაგზე გადატანით. თვითონაც გრძნობდა სისუსტეს თავის დებულებისას, და როცა ვეშაპელმა მთელი რიგი საბუთებისა მოიყვანა სოც.-დემ. „ლიტერატურიდან", რომელსაც იგ. გომართელმა (სოც.-დემ.) გეოგრაფიის და ეტნოგრაფიის უკეთ ცოდნითაც კი გააბათილა ბ-ნ მინისტრის მტკიცება,—აშკარა გახდა ჩვენი დიაგნოზის სისწორე: საჩხერის აჯანყებაში მთავარი როლი ოსებს ეკუთვნოდათ. ეს დამტკიცდა მაგრამ მაინც გამოიდგა მთელი რიგი ორატორებისა. აკ. ლომთათიძემ, რომელსაც, როგორც ვატყობ, დავალებული აქვს პარტიისაგან —დაამტკიცოს „უსაბუთობა" ოპოზიციის ყოველი გამოსვლისა —მკვახედ განაცხადა: შემკითხველთ არავითარი საბუთი არ მოუყვანიათ იმაზედ, რომ ანარქია და აჯანყება საქართველოში (?) ოსებისგან არის მოწყობილიო თორემ რადა საჩხერეზე შემოგვიტანა შეკითხვა, რატომ სხვა აჯანყებებზედ არაო. ჩვენ გვეგონა რომ ქავთარაძეზედ, მახარაძეზედ, ხაჩაპურიძეზედ, ფიდორიზედ გვკითხავდით და თქვენ ოსებზედ ლაპარაკობდით. რატომ ბოლშევიკებს არ იხსენიებთო და სხ. ლომთათიძეს ჩვეულებისამებრ არეულია ყველაფერი ერთმანეთში, თორემ განა მისგან დასახელებულ პირებს და ჯგუფებს თავზე ხელს უსვამდით თავის დროზედ ჩვენ თუ სოც.-დემოკრატები? და გრძელი სიტყვის მოკლე აზრების დასკვნა ასეთი იყო: ოსებს უფლება უნდა მიეცეთ თავისი სუვერენული (sic!) სურვილი გამოსთქვაონ. მაგრამ ყველაზედ საინტერესო ის იყო, რომ ჩვენი საბუთების „გაქიქების" შემდეგ ლომთათიძემ მოიყვანა თვისი საბუთი, თუ ჯიქები და სხვა ოსების წარმომადგენლები როგორ უჩივიან მათ სოც.-დ. ფრაქციის ბიუროში: „თუ მთავრობა მართლა იარაღის აყრასა და ჯარის კაცების გამოყვანას მოინდომებს ოსებში—ოსები, როგორც ერთი კაცი შეიარაღდებიან და მთავრობის წინააღმდეგ წავლენო", ეს თურმე საბუთია იმისი, რომ ოსები ისევე, როგორც ქართველები მხოლოდ სოციალურ ნიადაგზე იბრძვიან. ამასვე დასძინა მინისტრი და შემდეგ წერეთელიც თითქო ეროვნულ საკითხზედ თვალების დახუჭვით ისინი სწყვეტდნენ ეროვნულ საკითხს. ყველა უბედურება ნაციონალისტებისაგან წარმოსდგება და არა ხალხისაგან, იმეორებენ ყველა სოციალისტები და ჰგონიათ რომ ამით ახსნილია მსოფლიო ყველა საკითხი ქვეყანაზედ, მაგრამ ასეთი პრიმიტიული კონცეპციით ძნელია სახელმწიფოებრივი ხომალდის მართვა.

მესამე სხდომაზედ ბ-ნმა ვეშაპელმა (სოც. ფედ.) „კონსტიტუციაქა" დაიწყო: ერ. დემ. ამბობენ: სოც. დ. ჩვენს პოლიტიკას აწარმოებსო და თუ ასეა უწუნებენ პოლიტიკას—უწუნებენ მაშასადამე თავის თავსაო.—ჩვენ აქამდის არა გვქონდა წარმოდგენილი საპარლამენტო ტრიბუნა ცირკის არენად, საცა ოინ-ფოკსიან ოხუნჯობით შეიძლებოდა გამოსვლა, მაგრამ ბ-ნმა ვეშაპელმა კიდევ უარესადაც შეტოპა და გამოაცხადა: ერ. დემ. ძალიან კარგად იციან რომ საგაზეთო წერილები საბუთი არ არის და ისტორია მათ როგორც ნაგავს, გადაჰყრისო. მართალიც არის, ვეშაპელის შეცდომა სწორედ მაგაში იყო, რომ საბუთად სოც. დემ. წერილები და სიტყვები მოჰყავდა, თითქო არ იცოდეს—რომ სოციალისტები არავითარ პატივს არა სცემენ სიტყვას, წერილს და როგორც ნაგავს ისე ჰყრიან იმასდა მიხედვით თუ სად რა უჯობს. თორემ განა ირაკლი წერეთელი არ გვარწმუნებდა „საქართველოს მტრები არა ჰყავსო და ეს დემოკრატიის ბრალიაო". და განა შემდეგ იგივე არ გვარწმუნებდა გაზეთებით: „საქართველო გარშემორტყმულია მტრებითაო"; განა იგივე სოც. დემ. წერეთელი არ გვარწმუნებდა: საქართველო აჯანყების ალშია გახვეულიო (როცა უიდილათ საგანგებო რაზმები) და განა ბ-ნი რამიშვილი არ გვარწმუნებდა: სრული სიმშვიდეა და, მგონია სამუდამო დამშვიდება (როცა ოსებზე იყო საკითხი), განა წერეთელი არ გვიდასტურებდა რუსეთს და თმებს იგლეჯდა დამოუკიდებლობის გამო და ახლა არწმუნებს ქვეყანას: მე ვარ და მოუკიდებლობის დამცველი ერთათ ერთი გმირიო, განა წერეთელი არ იყო... მაგრამ სად ჩამოვთვალოთ მისი მეტამორფოზები—ამისთვის ოვიდიუსის კალამია საჭირო. ასეთი არგუმენტები მართლაც ნაგავია.

გამოვიდა ფარნიევიც. საინტერესო და ენამოსწრებული იყო ამ დეპუტატის გამოსვლა, ბევრჯერაც აცინა ხალხი, მაგრამ სოც. დემ. ზნესათვის არ უღალატნია: ბოლშევიკების მოქმედება და ანარქია თავად აზნაურობას და ერ. დემ. ახარეს და იქნება „აფხაზებიც მისცენო"; ოსებში არიან ნაციონალისტები, მაგრამ გასავალი არა აქვთო. ოსის ხალხმა კი სთქვა: ჩვენ საქართველოს შევებრძოლებით თუ ეროვნულ-დემოკრატები იქნებიან მთავრობაშიო და სხ. (თუმცა ერთიც არ არიან ეროვნულ-დემოკრატები და ებრძვიან კიდ). ეს კი წამოსცდა: ჯ[illegible] თანაუგრძნობს აჯანყებასაო.—და [illegible], რომელიც თქვენმა კომისარმა „შეგნებულ დამცველად" გამოაცხადა, წესიერებისა"?; და მრავალი სხვანი, არ თანაუგრძნობენ?

მაგრამ შედეგი იყო წერეთლის გამოსვლა. იგი სწორეთ იმდენს ლაპარაკობდა, რამდენიც საჭირო იყო რეგლამენტით განსაზღვრულ დროის გადაცილებისათვის და ამიტომ კვლავ იმეორებდა საათნახევრის განმავლობაში ორიოდე მეტი აზრი, რომელსაც იმეორებს ბევრ ორი თვეა ყოველ სხდომაზედ: ნაციონალისტების სისუსტეზედ ჩვენში და მოდალისტებზედ სხვა და სხვა ვარიანტით. მაგრამ ჭეშმარიტება სრული არ იქნებოდა თუ არ გავიმეოროთ იმის ახალ საორატორო ხელოვნების ნიმუშებსაც. ჩვენ რომ ამდენს ვებრძვით ამ არაფრის მაქნისს პოზიციას—მით რეკლამას უკეთებთ, სრული ჭეშმარიტებაა და მეტიც: რაც მეტად გამოააშკარავებთ თქვენს უმაყურობას—მით მეტი ფასი ედება ჩვენს გამოსვლებს. ჩვენი ცხოვრება დაჰკნინდა, რადგან ოპოზიცია არა გვყავს კარგიო. საწყალი წერეთელი თავის დაკნინების ბრალსაც კი ჩვენა გვდებს: მოწინააღმდეგენი სუსტნი არიან და ამიტომ ჩვენი ბრძოლაც უფერული გამოდისო. ახირებული დებულებაა, გულივერი რომ ქონდრის კაცთან მივიდე კი არ დაპატარავებულა ამით. მაგრამ ბ-ნ წერეთლის ტრაგედია სწორეთ იმაშია, რომ „დიდი" და „გამბედავი", როგორც მებრძოლი სიტყვიერად, ის სრულიად უმწეოა ცხოვრების ფაქტების მხარეების შესაქმნელად და მისი დამარცხებელი ენერგია უშნოთ და საწყლად ედება, ფუჭის რიგით ცხოვრებას და მარცხდება ყოველთვის. თვით ოსეთიდანაც რომ კუდ-ამოძუებული გამოსტუმრეს, არ აჩრდილებს ამ „პოლიტიკოსს", რომ მისი მარავანდედის სიტყვიერი ბრწყინვალება ქრება მზის სინათლის პატარა სხივებშიაც კი. და რადგან სინამდვილეს ვერ შეებრძოლება მარტოოდენ სიტყვით—„კეთილშობილმა" წერეთელმა დაიჩემა უმსგავსი მეთოდი ბრძოლისა: იგი თვითონ მოიგონებს რასმე, აშკარა სიყალბეს იტყვის და მერე ამ სიყალბეს ებრძვის გაშმაგებით და გაბოროტებით. მოიგონა, ვითომ ჩვენ გვინდა მივაფუჩეჩოთ ბოლშევიკების მოქმედება და შეუდგა ასეთ სიცრუესთან დონკიხოტურ ბრძოლას. მოიგონა, რომ ჩვენ მარტო ოსებზედ ვლაპარაკობთ და სხვაზედ კი არა და ამ სიყალბესაც თვითონვე ებრძვის. ამბობენ, მორიელს რომ ქვაში ჩასვამენ—ის თავის კუდს ჰკბენსო და, მგონი, როგორც ცხოვრების ქილაში ასვამ ამ უბედურებას ბ-ნ ირაკლის, რადგან რუსეთის, ფართო ველები და ფართო ჰაერი დაეკარგა „საგმირო" საქმეების და ენამჭევრობის რაინდის საჭიროთ.

რაჟ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა სტოლიპინები

ყოველი მთავრობა განურჩევლად იმისა თუ სად და რა პირობებში უხდება მას თავისი ძალა-უფლების განხორციელება, ვერ ურიგდება ოპოზიციის ბრძოლას.

ხოლო თუ ეს მთავრობა სუსტია და მერყევი თავის პრინციპებში, მით უფრო ალეწავს მას მის მოქმედებათა სამართლიანი კრიტიკა.

სოციალ დემოკრატიამ იკისრა ისეთი მძიმე ტვირთი სახელმწიფოს აღმშენებლობისა რომლის სიმძიმე წელში დუნავს შეუძლო პარტიას.

სოციალისტებს თეორიაში, პრაქტიკაში ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შექმნა უხდებათ და შენება იმისა, რის დანგრევაში გამოლეულა მათი ხელები.

ძალა-უფლება იმდენათ ტკბილი ნექტარია, რომ ვინც მას აგემებს, ძნელია რომ მოსცილდეს თავის ნებით.

და სოციალ-დემოკრატიაც ვერ სძლევს თავის თავს სახელმწიფო საქმენი ჩააბაროს იმათ, ვინც ბუნებით არის ამისთვის მოწოდებული.

ცუდი კალატოზის მიერ დაწყობილი ქვები ერთმანეთს ვერ ეკვრიან და ქვა ძირს რომ ვარდება, ხშირად ფეხს სტკენს თვით აღმშენებელს.

და პარტიას რომელიც ემსგავსება ამ კალატოზს თავის უნიათობის ბრალი გადააქვს იმაზედ, ვინც თავს ადგია და შეცდომებს უსწორებს.

მით უფრო ღელავს იგი, რაც უფრო სრულდება სხვისა, არ მიღებული რჩევა.

ქართულ პარლამენტში ნაციონალ-დემოკრატია ოპოზიციას უწევს მთავრობის პარტიას. და ეს ოპოზიცია არის მხოლოდ პარლამენტარული, რომელიც არ სცილდება მის კარებს და ტრიბუნიდან მიუთითებს იმ ფაქტებზედ რომელთაგან გარაში უნდა გაუწიოს მან, თავის სააღმშენებლო მუშაობაში.

მართალია მთავრობის პარტია არ ისმენს ამ რჩევას, მაგრამ რაც უფრო სრულდებიან ისინი, მით უფრო ბრაზდება ეს პარტია.

ოპოზიციის ყველაზე ძლიერი საშუალება ბრძოლისა არის სიპარლამენტო შეკითხვები.

ნაციონალ-დემოკრატიის შეკითხვებმა თავის დანიშნულებას მიაღწიეს და უკანასკნელ ხანებში ბევრისათვის ნათელი მოეფინა სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობას.

მაგრამ მთავრობა რისი მთავრობა იქნება რომ თავისუფლად ალაპარაკოს თავისი მოწინააღმდეგენი.

მთავრობის პარტიის გაზეთი ესეთ რჩევას აძლევს ამისთვის:

„საკმარისია პარლამენტი დაკმაყოფილდეს მთავრობის პასუხით და შეტანილი იყოს უმრავლესობის ფორმულა მორიგ კითხვებზე გადასვლისა“.

რისთვის არის საჭირო ესეთი ზომა?

გაზეთი „ერთობა“ თვითვე განმარტავს ამას:

ოპოზიცია თავისი გამოლაშქრებით უკმაყოფილებას იწვევს მთავრობისადმი, „რაც მარტო სარგებლობას აძლევს მას ე. ი. (ამ ოპოზიციას).

დააკვირდით კარგათ ამ ამხანაგს:

ირაკლი წერეთელმა ერთს თავის საპარლამენტო სიტყვაში სთქვა, რომ ის უფრო წელ-გამართული იყო მაშინ როცა ებრძოდა უფრო მძლავრ მოწინააღმდეგეს, რადგან „მას კიდეც ებრძოდა და კიდეც სწავლობდა მისგან ბრძოლის მეთოდებს“.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ რომ მას და მის ამხანაგებს სავსებით შეუსწავლიათ ეს მეთოდები.

განსაკუთრებით ეცოდინება ეს ბ-ნს წერეთელს, რომელსაც ისეთი „მასწავლებელი“ ყავდა როგორც იყო პ. სტოლიპინი.

სახელმწიფო სათათბიროში, სოციალ-დემოკრატია მეტად ძლიერ ოპოზიციაში იდგა სტოლიპინის მთავრობას და მის შეკითხვებს ისეთივე ბევრი ხელისშლით, როგორიც უნდათ ეხლა ამათ ჩვენს მიმართ რომ შემოიღონ.

სოციალ-დემოკრატიის ხმა მთავრობამ მაშინ მაინც ვერ ჩაკლა და ხალხმა მაინც გაიგონა იგი.

მაგრამ სტოლიპინმა იხმარა ერთი საშუალება, რომელიც მინდა მოვაგონო მის მოწაფეთ—დღევანდელ მთავრობის პარტიას.

სტოლიპინმა დაიჭირა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და ციხის კედლებში დამალა თავისი მოწინააღმდეგენი.

იქნებ ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამაც მიმართოს ამ ზომას.

წერეთლის ამბავი კარგათ იქნება შესწავლილი სტოლიპინის საშუალებანი ბრძოლისა და ჩვენ წინ და წინ ვგრძნობთ თუ რა მჭევრმეტყველი იქნება ის მთავარი ბრალმდებელის როლში.

ლ. ჯაფარიძე.

მთავრობის წრეებში

სამხედრო სამინისტროს წინადადებით მთავრობამ დაადგინა მიეცეს მოკუჩავას 9807 მან. 10 მილიონიან თანხიდან, უკრაინაში მყოფ ქართველების გამოსაყვანათ.

—

განათლების მინისტრის მოხსენება ჯარიდან მასწავლებლების და მოსწავლეთა განთავისუფლების შესახებ სამხედრო მინისტრს გადაეცა თავის აზრის გამოსათქმელად.

—

სახელმწიფო ბანკის ლიკვიდაცია მთავრობის დადგენილებით თანდათანობით უნდა მოხდეს.

—

შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას სთხოვა 200.000 მან. იქნეს გადადებული მედიკ-სანიტარულ განყოფილებისთვის ეპიდემიებთან საბრძოლველად.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას მოხსენება წარუდგინა კავკასიის არქეოლოგიურ საზოგადოების გაუქმების შესახებ. მოსამსახურეებს სალიკვიდაციო მიეცემათ.

—

მთავრობამ განიხილა განათლების მინისტრის მოხსენება საშუალო სასწავლებლების შესახებ და დაადგინა დაევალოს განათლების მინისტრს შეადგინოს პროექტი არა ქართველთათვის ცალკე გიმნაზიების დაარსების შესახებ, რომელ გიმნაზიებშიაც მიღების დროს უპირატესობა მიეცემა საქართველოს ქვეშევრდომთა შვილებს.

რუსეთის „დიპლომატიური“ წარმომადგენლობა

რუსეთის საბჭოთა მთავრობას მიუნდვია თბილისში არსებულ რუსთა ეროვნულ საბჭოსათვის დაცვა ამიერ-კავკასიაში მობინადრე რუსეთის მოქალაქეთა ინტერესებისა განურჩევლად ეროვნებისა. ხსენებულ ეროვნულ საბჭოს რწმუნებული ამ დღეებში ეახლნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და წარუდგინეს რწმუნების „გრამოტა“.

მთავრობის თავმჯდომარეს უკვენია „გრამოტა“ კანონიერად და ახალი ფორმაციის ელჩებთან დიდ ხანს ულაპარაკნია პოლიტიკურ თემებზე. საინტერესოა ვიცოდეთ, საერთაშორისო უფლების რომელ ნორმებით ხელმძღვანელობდა რუსეთის სოციალისტური მთავრობა ასეთ უცნაურ საქმეს, თუ საკონსულოს დაარსებაში. რას წარმოადგენს დღეს ოფიციალურად, თუნდა სახელმწიფოებრივად ამიერ-კავკასია, რომლის ფარგლებში დიდის უფლებით ადიოსა რუსული ნაციონალური საბჭო? შეუწყნარებულია ჩვენი დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ რუსეთისაგან? ან და რაში უნდა გამოიხატებოდეს რუსულ ნაციონალურ საბჭოს მიერ რუსეთის ქვეშევრდომების ინტერესების დაცვა? შეუძლიან მას საკუთარი ლეგიონების მიმართოს ყოველს იმ შემთხვევაში, როდესაც, მისი აზრით, რუსების ინტერესი შებღალული იქნება? ერთის სიტყვით, უნდა ვიცოდეთ, რუსულ საბჭოს დაეკისრა დიპლომატიური წარმომადგენლობა ახალ სახელმწიფო ერთეულებში და, მაშასადამე, ეს ერთეულები რუსეთისაგან უკვე ოფიციალურად მოშორებულია, თუ ნაციონალური საბჭო ელოდება განსაკუთრებულ უფლებით და იმოქმედებს მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით.

ეროვნული საბჭო

აკ. ასათიანის პასუხი

6 აგვისტოს სხდომა.

საერობო საკითხი

ბ. არსენიძე მრავალი კომისიის თავმჯდომარეა და მათ შორის იურიდიული კომისიის. მას ჩვეულებად გადაექცა თავის მოწინააღმდეგეთა ყველა სიტყვებისა და წინადადებების იურიდიული და ფორმალური მოსაზრებებით დაწუნება და ყოველთვის უსაფუძვლოდ. ეხლაც ეწუნება განსაცვიფრებელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება. ამ წინადადებას ისინი საკანონმდებლო წინადადებას უწოდებენ, მაგრამ მას კანონმდებლობისა და კანონის არავითარი ნიშანწყალი არ აქვსო. როგორც სჩანს, სამწუხაროდ, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ურევს ერთმანეთში მცნებებს: კანონს, კანონ-პროექტსა და საკანონმდებლო წინადადებას. საკანონმდებლო წინადადება, არ არის არც კანონი და არც კანონ-პროექტი, არამედ მხოლოდ წინადადება კანონის ან კანონიერ საფუძველზე შექმნილი მდგომარეობის შეცვლისა, შეჩერების თუ გაუქმების შესახებ და რასაკვირველია ვისთვის სრულიად არ არის სავალდებულო ის ფორმალური თვისებები, რომელნიც კანონს ახასიათებს. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს, რომ შეჩერდეს საერობო არჩევნები, რომელსაც მთავრობა ახდენს კანონიერად იმდენად, რამდენადაც საბჭომ მიიღო ამიერ-კავკასიის სეიმისა და კომისარიატის გამოცემული დებულებები ერობის შესახებ. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს აგრეთვე, რომ გადასინჯული და შეცვლილი იქმნას თვით საერობო კანონი და რასაკვირველია ასეთი წინადადება ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისა არის სწორედ ის საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც იხსენიებს ეროვნული საბჭოს რეგლამენტი. თუ საბჭო მიიღებს ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებას, სათანადო კანონ-პროექტი მხოლოდ ამის შემდეგომ შემუშავდება საერთო წესით და მაშინ მიეცემა საშუალება იურიდიულ კომისიის თავმჯდომარეს გამოიყენოს თავისი იურიდიული ცოდნა და გამოცდილება.

რაც შეეხება ეროვნ.-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებას არსებითად, უნდა აღვნიშნო, რომ წინადადების წინააღმდეგ აქ ვერავითარი საბუთი ვერ მოიყვანეს. სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენელს თურმე რომ უკვირს: ამ ერთი თვის წინად ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სასწრაფო განკარგულებებს აძლევდა საერობო არჩევნების დაჩქარების და ეხლა თვით ფრაქცია ამ არჩევნების დროებით შეჩერებას მოითხოვსო. ეს განცვიფრება აიხსნება მხოლოდ იმით, რომ სოციალისტურ პარტიებსა და ეროვნულ დემოკრატებს სულ სხვა და სხვა შეხედულება აქვთ შინაგან სამუშაოს შესახებ მთავრობაში მონაწილეობას, და სახელმწიფო სამსახურისა. ის პირი რომელიც არჩევნების დაჩქარებას სცდილობდა მთავრობის სამსახურში იმყოფება და რასაკვირველია ვალდებულია გააკეთოს ის რასაც მას მთავრობა დააკისრებს და არა ის რასაც მისი პარტია ჰფიქრობს. მეორე განცვიფრება პირადად მე შემეხება, ვინაიდან მე გახლდით მონაწილე იმ საერობო თათბირისა, რომელიც იმართებოდა აქ 1916 წელს ყოფილ მეფის ნაცვლის მიწვევით. დიახ მაშინ 1890 წლის ერობის დაჩქარებით შემოღების მომხრე ვიყავი, ვინაიდან მაშინ მხოლოდ ასეთი ერობის მიღება შეიძლებოდა, რომელიც არსებობდა რუსეთში. დაჩქარებით ამ ერობის შემოღებას მოვითხოვდით და ეს მაშინ საჭიროებით შესაძლო იყო, ვინაიდან იყო ადმინისტრაცია, ერთგვარი წესრიგი და სხვა საშუალებანი. ამ ქვეყანამ, სამწუხაროდ, ასეთი ერობის შემოღებაც არ შეგვიძლია დაუყოვნებლივ, ვინაიდან არც ერთი ეს პირობები არ მოგვეპოვება.

ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, რომ სხვა პარტიების წარმომადგენლებს გაეზიარებინათ ჩვენი აზრი, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია წესიერი საერობო თვითმმართველობის შექმნა. სამწუხაროდ, მათი სიტყვები მხოლოდ ადასტურებს ჩვენ იჭვებს. მოგვეპოვება თუ არა საშუალება, რომ ეს როგორი სახელმწიფოებრივი საქმე ეხლავე მოვაგვაროთ? არის თუ არა ამისთვის აუცილებლად საჭირო ადმინისტრატიული აპარატი, ელემენტარული წესრიგი, მშვიდობიანობა? არის თუ არა ხალხში რაიმე ინტერესი ამ საქმისადმი, [illegible] თუ არა ხალხს რა არის ერობა, რაგვარი პირობა საჭიროა ერობისათვის? და თუ ჩვენ მოვიტყუებთ ყველა დაბრკოლებებისა მაინც მოვახდინეთ ეს არჩევნები მივიღებთ ამის შედეგად საერობო თვითმმართველობას, სოფლის [illegible] და [illegible], ხალხის ნდობით აღჭურვილს ორგანოს, თუ ისეთს რამე ორგანიზაციას, რომელიც მრავალთა შეგნებით ამ რევოლიუციის დროს მაგრამ ძლიერ მალე გაჰქრება ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ცუდად აშენებული და ცუდს ნიადაგზე დაფუძნებული. არც ერთს ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არ მიგვიღია მთავრობისა და პარტიების წარმომადგენლებისაგან და არ ვიცით, ამის შემდგომ რა მოტივით შეიძლება უარყოს წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება.

ბ-ნო, შეუძლებელია, ისეთი რთული ინსტიტუტის შემოღება, როგორიც არის ერობა, რომელიც სახელმწიფოებრივი სხეულის, შეიძლება ითქვას, დიდს ნაწილს შეიცავს, გარეშე ყოველგვარი წესისა და უფლებრივი ნორმებისა. საერობო თვითმმართველობა უნდა შემოვიღოთ იმ დებულებისა, ნაკაზისა და ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც გამოსცა ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ამ დებულებებს მრავალი უდიდესი ნაკლი აქვს და ამიტომ ის ეროვნულ საბჭოს უნდა გადაესინჯა. ეს არ მოხდა, მაგრამ ხდება არჩევნები ამ ცუდი კანონის მიხედვით მაინც? სრულიადაც არა. არჩევნების დაწყებამდე მთავრობამ ინსტრუქციები გაუგზავნა საერობო კომიტეტებს, თუ საერობო დებულებათა რომელიმე მუხლის შეუძლებელი ხდება ადგილობრივი პირობების გამო, შეგიძლიანთ ის შეცვალოთ როგორც საჭიროდ დაინახავთო. ეს შეეხებოდა უმთავრესად საარჩევნო და საკანდიდატო სიების გამოქვეყნების დროის განსაზღვრას. პირველი სიის საჭირო იყო ექვსი კვირა, მეორისათვის 10 დღე, მაგრამ მთავრობის ინსტრუქცია ისეთი საზოგადო ხასიათისაა, რომ საერობო კომიტეტებს შეუძლიანთ დებულების ყველა სხვა მუხლებიც შესცვალონ, როგორც მათ მოეხასიათებათ.

ამრიგად საერობო თვითმმართველობის არჩევნები მოხდება, ისე სადაც როგორ მოეხასიათებათ. ეს იქნება არჩევნები, რომელიც ბათუმის ოლქმა გამართა ბათუმში და ეჭვი არ არის ასეთი არჩევნები ვერ მოგვცემს ისეთს ერობას, რომელიც აღჭურვილი იქნება ხალხის ნდობით და შესძლებს სოფლის ცხოვრების საჭიროებათა პატრონობას. შეიძლება განა სერიოზულად კამათი იმის შესახებ, თუ რა უნდა უსწრობდეს ერთმანეთს წესრიგი თუ რეფორმები? ყველამ იცის რომ ასეთი რთული რეფორმა, ასეთი არსებითი სახელმწიფოებრივი რეფორმის მოხდენა არ შეიძლება, თუ არ მოიპოვება აპარატი, რომელიც ამ რეფორმას ახდენს—ადმინისტრაცია და ერთგვარი წესრიგი, მშვიდობიანობა. სულ სხვაა თუ შეეკითხებით ჩვენს სოფელს აღმასრულებელი კომიტეტებისა და სხვა სარევოლიუციო ორგანიზაციების წევრებს, რომელნიც [illegible] და აქეთ-იქით [illegible] და ამ პირებს დაარქმევთ ხალხის ნდობით აღჭურვილ და ხალხის მიერ არჩეულ ერობას. მაგრამ ეს სახელმწიფოებრივი რეფორმა კი არ იქნება, არამედ სახელის გატეხვა და დამახინჯება დიდი ხნით საერობო თვითმმართველობის იდეისა და სახელის. ასეთი ერობა შეასრულებს თავის დანიშნულებას? აღადგენს წესრიგს, უპატრონებს სოფლის მეურნეობას და მრეწველობას და ამისათვის საჭირო სახსრის მოპოვებას შესძლებს? აქ არავის უთქვამს, რა მანქანებით მოხდება ეს.

დასასრულ უნდა აღვნიშნო მწუხარებით, რომ აქ არც მთავრობას და არც სხვა სოციალისტურ პარტიებს არ გამოუთქვამთ დაპირება, რომ ამ საერობო არჩევნებში ჯარი არ მიიღებს მონაწილეობას, როგორც ამას კომისარიატის საერობო დებულება გულისხმობს. ამ კათედრიდან ბევრჯერ თქმულა ის, რაც საერობო დებულებაში სწერია, რომ სამხედრო პირები და ჯარები არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ საერთო წესით, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში ამჟამად მოიპოვებოდეს თუნდაც ერთი ისეთი წევრი, რომელიც ამ აზრს იზიარებს და საჯაროდ აქ გამოსთქვამს. და თუ ეს ასეა აქედან შესაფერი დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ. ნუ თუ შესაძლებელია, რომ საქართველოს იმ მხედრობას, რომელიც იარაღით ხელში იცავს საზღვრებს და რომლის ძლევამოსილი დროშები მიისწრაფვიან ჯიქეთის საზღვრებისაკენ თუნდაც ერთის წუთით გამოვტაცოთ ხელიდან მახვილი და იმის ნაცვლად აღვჭურვოთ პარტიული სიებით და ბიულეტენით პარტიულ ბრძოლისა და კონკურენციაში ჩასაბმელად. ეროვნული საბჭო ამას ვერ შეურიგდება. ყოველივე ამის გამო ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ადასტურებს თავის საკანონმდებლო წინადადებას და მოითხოვს მის მიღებას.

მომხსენებელი კლდიაშვილი არჩევნების გაგრძელების საჭიროებას იცავს.

კენჭის-ყრა

საკითხი კენჭის ყრაზე დასმული. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას ხმას აძლევენ, თვით ეროვნული-დემოკრატები, რადიკალ-დემოკრატები და [illegible]. წინააღმდეგ ყველა სოციალისტები. წინადადება უარყოფილია.

ოსების აჯანყება

გრძელდება წარსულ სხდომაზედ შეწყვეტილი კამათი გრიგოლ ვეშაპელის შეკითხვის შესახებ, სამხრეთ ოსეთა აჯანყების გამო.

პაჭუაშვილის სიტყვა

სოციალ-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით ლაპარაკობს საბჭოს წევრი პაჭუაშვილი: მართალია ანარქია არის და ოსებიც მონაწილეობას იღებენ ანარქიულ გამოსვლებში, მაგრამ ეროვნული დემოკრატები საკითხს სხვანაირად სვამენ: ისინი ყველაფერში ამტყუნებენ მენშევიკების პოლიტიკას, მაგრამ წამდაუწუმ მაინც ლაპარაკობენ, რომ მენშევიკები მათს პროგრამას ანხორციელებენ და თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ნაციონალ-დემოკრატები ყველაზე უფრო დამნაშავენი ყოფილან. ბ-ნმა ვეშაპელმა ოსებს მძიმე ბრალდებანი დასდვა, მაგრამ საბუთებად მხოლოდ გაზეთებიდან ამონაწერი წერილები მოიყვანა; მაგრამ გაზეთებში ხომ კერძო პირთა სუბიექტიური შეხედულებანი იბეჭდებიან და ობიექტიური საბუთებად ისინი ვერ გამოდგებიან. ანარქია იქაც ხდებოდა, სადაც არც ერთი ოსი არ ცხოვრობს და მასთან ერთად ქართველთა თავმოყვარეობის შეურაცხყოფის ნიშნავს იმის მტკიცება, რომ უკულტურო ოსებმა, კულტურული ქართველი გლეხები ჩაითრიეს მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში.

უმთავრესი დებულება ვეშაპელის იყო ის, რომ ოსები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძვიან, მაგრამ გაიხსენეთ ცხინვალის ამბები? განა მაშინ საქართველო დამოუკიდებელი იყო, ოსები მაინც ჩვენს წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ? ნაციონ. დემოკ. ამტკიცებენ, რომ ამ შეკითხვას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, მაგრამ განა ესევე არ იქცეოდნენ შავრაზმელები, როდესაც ყოველთვის „ებრაელებს“ და „ინოროდცებს“ ბრალდებდნენ? ისინიც ხომ სახელმწიფოებრივის მოსაზრებით ამართლებდნენ თავს. ოსებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, უნდა მოვუაროთ მათ და [illegible] გამოვიჩინოთ. ნამდვილი მიზანი ვეშაპელის შეკითხვისა არის გაღვივება ეროვნული ბრძოლისა და ჩაქოლვა დემოკრატიულ პრინციპებისა, მაგრამ ისინი ამ ბრძოლაში განმარტოებულნი დარჩებიან.

საბჭოს წევრი ფარნიევი (ს. დ.) საკმაოდ გრძელ და შინაარსიან სიტყვაში, არაფერს ახალს არ ამბობს და იმეორებს ყველა შემთხვევას ყველა ი

ეროვნული

საწინააღმდეგო აზრებს რომელნიც წარსულ სხდომაზედ წარმოსთქვეს მისმა ამხანაგებმა და ეხლა პაპუაშვილმა.

ირაკლი წერეთელი

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბელადი გრძელ სიტყვაში გაკვრით ეხება შეკითხვის საგანს და დიდხანს ანდომებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დახასიათებას.

რატომ უწევთ ანგარიშს ნაციონალ დემოკრატებს?

ჩვენს პარტიას მუშებისაგან ბევრი საყვედური ესმის რატომ უწევთ ანგარიშს ნაციონალ-დემოკრატებსო? შემოიტანენ უმნიშვნელო შეკითხვებს და თქვენი პასუხით მათ აუქლამას უკეთებთო და რაც უნდა ამარცხდენ ისინი მაინც გამარჯვებულნი დარჩებიანო. მე მინდა ამაზედ მათ უპასუხო. მათი განცხადება სრული სიმართლეა და ჩვენი ცხოვრება ისე დაწვრილმანდა რომ ბრძოლა გვიხდება ისეთ პარტიასთან, როგორიც არის ნაციონალ-დემოკრატია, რომელსაც პოლიტიკური ანბანიც არ აქვს შეგნებული. იყო დრო როცა დემოკრატია წელ გამართული იყო და მსოფლიო, მძლე მოწინააღმდეგებთან უხდებოდა ბრძოლა და მან იცოდა კიდევაც მძლავრნი შეტევანი. ეხლა იგი ძალ გადუნებულია და მხოლოდ ესეთ პარტიასთან შეუძლია ბრძოლა. მე მსურს გაჩვენოთ, რომ ჩვენს დღევანდელ მოწინააღმდეგეს, ისეთი მეთოდები აქვს ბრძოლისა, რაც მათს უცოდინარობას და უკულტურობას ამჟღავნებს. ავიღოთ საჩხერის ამბები: ოსების მოძრაობას ეროვნული ხასიათი აქვსო. ესენი ნაციონალ-დემოკრატებს ეძახიან თავის-თავს, მაგრამ დემოკრატიული პარტიისათვის ესეთი აზრის მტკიცება განა შესაწყნარებელია?

ინგლისის პარტიები.

ეს პარტია სრულებით უცნაურია და ისტორია ესეთ პარტიას არ იცნობს. ავიღოთ ინგლისი. ირლანდიაში რომ აჯანყება ხდება ინგლისში მემარჯვენე პარტიები არ გამოდიან და ამაში მთელს ხალხს არ სდებენ ბრალს; პირიქით ისინი ამტკიცებენ, რომ ეს პროვოკაციის ბრალია და რომც არ ქონდეს მას ადგილი, ისინი მაინც შეეცდებიან დაამტკიცონ ეს. აქ ხდება ოსების აჯანყება, სადაც უტყუარი საბუთებია, რომ მოქმედებენ სხვა სახელმწიფოთა აგენტები, მაგრამ გამოდის სახელმწიფოებრივი პარტია და ამტკიცებს, რომ იქ არც ნაციონალისტებს, არამედ თვით ხალხია დამნაშავე.

ოსები ვერ გამოვლენ საქართველოს წინააღმდეგ.

მაგრამ დავანებოთ თავი ყველაფერს. მართლა შეეფერება ეს სიმართლეს? წაიკითხეთ თვით ნაც.-დემოკრ. გაზეთები და თქვენ დარწმუნდებით, რომ იქ მოქმედებენ მხოლოთ ბოლშევიკები. პაპუაშვილმა დასვა საკითხი: უნდა გამოარკვიოთ ვინ მოიგებდა ამ აჯანყებიდანო და ის იქნება დამნაშავეო, მაგრამ განა ვინმეს შეუძლია იფიქროს რომ ოსები მოიგებენ? მათ არ შეუძლიათ გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ, მისთვის რომ თუ მოისპო საქართველო მაშინ ოსებიც მოისპობიან. იქ სრულებით სხვა პირობებია და თვითეულ გრძნობენ, რომ არ მოიპოვებენ ისეთ ძალას, რომ დამოუკიდებლათ მოეწყონ.

ბოლშევიკები და ნაციონალისტები.

[illegible] ოსეთში ბოლშევიკები და [illegible], რომ რუსეთში სრული თავისუფლებაა, იგი სავსეა პურით და ყოველივე სიმდიდრით, ხოლო ეს კონტრ-რევოლუციონური საქართველო ჩამოშორდა მას და ეს ყველაფერი ამისთვის დაეკარგა—აი ეს არის მიზეზი მათი აჯანყებისა და რომ [illegible] ეს ხალხი რომ ამას ვერ ხედავს. ჯერჯერ ჩვენთვის საშიში არაა, მაგრამ ბოლშევიკები კი საშიშია. საშიშია მისთვის, რომ ის თავს [illegible] სხვა და სხვა მხარეში: ოსეთში, ლეჩხუმში, დუშეთში და ყველგან სხვა და სხვა სახით. და ამათი წინააღმდეგობის მაგივრათ ეროვნულ-დემოკრატები ამბობენ, რომ დამნაშავენი ვართ იმაში რომ ამ მოძრაობას ეროვნული ხასიათი არ მივეცით.

რატომ ვერ მივიღეთ ხმები ოსების ყრილობაზედ.

თავის ბრალდებას აქ მით ასაბუთებენ, რომ ოსების ყრილობაზედ ჩვენ ხმები ვერ მივიღეთ. ვერ მივიღეთ იმ მიზეზების გამო რომელიც ზევით მოვიყვანეთ. იქაც ასე ასაბუთებდენ, რომ თუ რუსეთს ჩამოშორდებით, ყველაფერი დაგეკარგებაო.

რატომ არის ძნელი ნაც.-დემოკრატ. ბრძოლა?

იბრძოლეთ ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ იბრძოლეთ მისაღები საშუალებით. ერთმა პრესის მუშამ სთქვა რუსის გენერალ სალტიკოვზედ: მე არ მეშინია არც ერთი მოწინააღმდეგის, მაგრამ არ შემიძლია ბრძოლა ამ რუს გენერალთან, რომელსაც არავითარი სტრატეგია არა სწამს და არ იცის საიდან მოიტანს იერიშსო. ესევე ითქმის ნაციონალ-დემოკრატებზედ ჩვენ გვიძნელდება მათთან ბრძოლა მისთვის, რომ არ ვიცით საიდან მოიტანენ იერიშს.

რატომ ჩამოვქვეითდით.

დღეს საქართველოში ყველა სოციალისტური პარტიები გაერთიანებულია მხოლოთ ნაციონალ-დემოკრატებს ვებრძვით და თუ ვინმეს სურს გაიგოს მიზეზი თუ რატომ ჩამოვქვეითდით, ეს არის უმთავრესი მიზეზი.

უწინ ჩვენ გვყავდა ისეთი მოწინააღმდეგენი, რომელთაც კიდეც ვებრძოდით და კიდეც ვსწავლობდით მათგან ბრძოლის მეთოდებს, ამათ კი თან ვასწავლით ამ ბრძოლას და, თან ვებრძვით.

პარლამენტის ხარისხი.

პარლამენტს ამაღლებენ და თავის ღირსებას აძლევენ ისეთი პოლიტიკური პარტიები, რომელნიც კულტურულნი არიან და თან ბრძოლაც იციან. ამათ კი რეგლამენტიც ვერ შეუსწავლია და რა გასაკვირია, რომ პარლამენტს თავისი ღირსება დაუკარგონ. ამას მე ვაქცევ ყურადღებას, ამისთვის, რომ ხვალ ალბად გაზეთ „საქართველოში" გამოვა სტატია, რომელიც დაამტკიცებს, რომ ნაციონალ-დემოკრატებმა ზნეობრივად გაიმარჯვესო.

რ. ინგილო (ადგილიდან). საგანზე ილაპარაკეთ.

წერეთელი. საგანზედ მოგახსენებთ. სამწუხარო ის არის, რომ პოლიტიკური ანბანი არ იცით.

მუშათა კლასის დანიშნულება.

მუშათა კლასი გაიგებს ეხლა, თუ რათ უწევთ ანგარიშს ამ პარტიას. ის შეერჩია ყველაზე მოწინააღმდეგეთ, მაგრამ მუშათა კლასისათვის საჭიროა საერთაშორისო მოძრაობა, მაგრამ, რადგანაც იგი დღეს შეზღუდულია, მისი დანიშნულებაა აქ იბრძოლოს და განახორციელოს ის, რაც შემდეგ მათ დაჰკისრა.

კამათის შეწყვეტა.

თავმჯდომარე. შემოტანილია წინადადება კამათის შეწყვეტის გამო.

ხმები ადგილიდან. რამდენია კიდევ ჩაწერილი?

თავმჯდომარე. ჩაწერილია ერთი ორატორი—გრიგოლ ვეშაპელი. საკითხის შეწყვეტის შესახებ სიტყვა ეძლევა გ. ვეშაპელს.

გრიგ. ვეშაპელის განცხადება.

მე არ ვიცი, როგორი წინასწარი დადგენილება აქვს ამის შესახებ კულტურულ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას; შეიძლება არა. წერეთელი იმიტომ ლაპარაკობდა ასეთის რიხით ამდენ ხანს, ისიც ურცხვადათ, რომ საგანგებო „ზაკაზი" ჰქონდა მიცემული. თუ უმრავლესობის პარტია ესეთის წესით ჰფიქრობს პარლამენტარიზმის განმტკიცებას ჩვენში, მე მგონია ეს პარლამენტარიზმი ინგლისისა კი არა, უფრო აზიურს მიესადაგება, მაგალითად სპარსულ მეჯლისს. თუ ბ. ირაკლი წერეთელი საგანგებო დავალებას ასრულებდა მუშათა კლასის წინაშე, რომლისაც მათთვის არკვევდა ჩვენი ოპოზიციის ბუნებას, მაშინ თუ არ გეშინიათ, მოგვეცით სიტყვის უფლება და ჩვენც მოგახსენებთ ცოტა რამეს ამ მუშათა კლასის წინაშე.

კამათის შეწყვეტას იცავს ს. დ. კარლო ნინიძე, რომელიც შემდეგ რჩევას აძლევს ნაციონალ-დემოკრატებს: თქვენ რეგლამენტის ძალით უფლება გაქვთ, კამათი გაგრძელდეს, თუ სამჯერ 15 წევრი ამის მომხრე იქნება.

კენჭის ყრა.

თავმჯდომარე კენჭს უყრის კამათის შეწყვეტის საკითხს. წინააღმდეგ ხმას აძლევენ ნაციონალ-დემოკრატები, უპარტიოთა ჯგუფი და რადიკალ-დემოკრატები. ფედერალისტთა სკამებზე რყევაა: მიხ. ყაუხჩიშვილი ხელს სწევს ზევით, მაგრამ ამხანაგები ძალით აშვებინებენ.

სოციალისტურ ხმათა დიდი უმრავლესობით კამათი შეწყვეტილი იქმნა. ნაციონალ-დემოკრატები დემონსტრატიულად სტოვებენ დარბაზს.

გადასვლის ფორმულა.

მიღებულ იქმნა გადასვლის ფორმულის ტრაფარეტი: „სამჯერ იცნობს რა მთავრობის განმარტებას, გადადის მორიგ საქმეებზედ". რადიკალ-დემოკრატის დ. ნიკოლაძის შეკითხვა „ტუსაღთა გაუსამართლებლად დაპატიმრების" შესახებ, გადადებულ იქმნა პარასკევისათვის.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **სამხედრო სასამართლოში.** ხვალ დილის 10 საათზედ გაიხსნება პირველი საჯარო სხდომა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოში.

◆ **სასურსათო საქმეთა** სამინისტრომ მიმართა ფოთის საბაჟოს უფროსს, რომ გასაგზავნი მარილი მიიღონ მხოლოდ ფოთის სასურსათო საქმეთა სამინისტროს განმანაწილებელ ბიუროსაგან. გაგზავნა მარილისა კერძო პირთაგან აკრძალულია, რა მისამართითაც არ უნდა იყოს. განმანაწილებელი ბიურო წინადადებას აძლევს მარილი მიიღონ გასაგზავნათ სასურსათო საქმეთა სამინისტროს კონტრ აგენტებისაგან. სხვა პირების მიერ მოტანილი მარილს ფოთში უნდა ექნეს რეკვიზიცია. ფრანკ-ვაგონი 6 მან. 4 აბაზათ ფუთი, რომელ ფასშიდაც შედის ყოველგვარი გადასახადი.

◆ **ფოსტის გაცარცვა.** 5 აგვისტოს ოზურგეთში გაცარცვეს ფოსტა. მოკლულია ორი. ყაჩაღები მიიმალნენ.

◆ **სომეხთ ეროვნული საბჭო საქართველოში.** 6 აგვისტოს სხდომაზე საბჭომ დაადგინა ერთი ორად გაადიდოს წარმომადგენელთა რიცხვი. ამ რიგად თითო პარტიიდან შევა 8 კაცი პარიტეტულ პრინციპით. სულ იქნება 32 წარმომადგენელი და ექნება თავისი აღმასრულებელი ორგანო. ამ დღეებში გაიხსნება პირველი ოფიციალური სხდომა.

◆ **გერმანული მრჩევლები.** გერმანიის საგანგებო დელეგაცია განმარტავს, რომ მან საქართველოს მთავრობისაგან ამას წინად წინადადება მიიღო, რომ სხვა და სხვა სამინისტროებში მრჩევლებად გერმანელები დაენიშნა. დელეგაციამ ეს დაუყოვნებლივ ბერლინში აცნობა, საიდანაც მაშინვე გამოგზავნეს მაიორი გრაფ [illegible], რომელიც ამ დღეებში ჩამოვა აქ. დელეგაცია აცხადებს, რომ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომ ფინანსთა სამინისტროსთან მრჩევლად თურქესტანში კონსულად ყოფილი, ვინმე ბაუმგარტნერ დაინიშნაო სიმართლეს არ შეეფერება, ვინაიდგან თურქესტანში გერმანიის ბაუმგარტენი კონსულად არავინ ყოფილა და ასეთი გვარის მატარებელი არც დელეგაციაში ირიცხება ვინმე და არც არავის იცნობენ ასეთს.

◆ **საქართველოს საკათალიკოსო** საბჭომ დაადგინა, [illegible] საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრებაში შემოღებული ახალი კალენდარული სტილი.

◆ **ფოთის ნავთსადგურის გაუმჯობესება.** ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ [illegible] საჭიროებისამებრ ეხლავე შეუდგნენ ფოთის ნავთსადგურის შესავლის გაღრმავებას, რომლის სიღრმეც ამ ჟამად 17 ფუტს არ აღემატება, რაც ნავთსადგურში შესვლა შეუძლებელს ხდის [illegible] ნავებისათვის. სამინისტრომ დაადგინა, აგრეთვე რეგულიარული მიმოსვლა იქნეს შემოღებული გემებით და ნავებით ფოთსა და შავი-ზღვის სხვა ნავთსადგურებსა და ქალაქებს შუა.

◆ **გერმანიის საგანგებო დელეგაცია** სთხოვს საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს, გამოაცხადოს გაზეთებში, რომ ამას წინად მოთავსებული ცნობა გერმანიის შტაბის საქართველოს დაშლის შტაბში გადასვლის შესახებ სინამდვილეს სრულიად არ შეეფერება.

◆ **საქართველოს ფლოტი.** საქართველოს მთავრობის განკარგულებაში გადავიდა ფოთში მოყვანილი 3 დიდი სატრანსპორტო გემი „ვიოლეტა", „მიხეილი" და „ა. დობროვოლსკი" და მრავალი წვრილი გემები, ბარჟები, მოტორიანი ნავები და იალქნიანი ხომალდები.

◆ **ხორბლის შეძენის საქმე.** სასურსათო სამინისტროს მიერ პურის შეძენის საქმე სათანადოთ ვერ მიდის. გლეხები პურს არ იძლევიან და თუ იძლევიან ფუთს 160 მანეთზე ძვირად. სამინისტრომ ცოტაოდენი ხორბალი შეიძინა მანუფაქტურის და სხვა საქონლის ნაცვლად.

◆ **[illegible].** დუშეთის მაზრაში ჩვენ ჯარს ამბოხების ჩაქრობის დროს ხელთ ჩაუვარდა სულ: 4 ზარბაზანი, 15 ტყვიამფრქვეველი, 6 ყუმბარის მტყორცნელი, 2,000 ვინტოვკა და დიდძალი ტყვია-წამალი. ჩვენი ზარალია სულ: მოკლული და დაღუპული 7, დაჭრილი—20.

პარტიული ცხოვრება

◆ **ფოთი** (დეპეშა). ფოთის საქალაქო არჩევნებზე ოთხ ხმოსანთა შორის გავიდა ერთი ეროვნულ-დემოკრატი ნიკოლაძე-საბახტარიშვილი.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, (ახალ დროით) სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო კრება. ტ. მარჯველაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ერთობის შესახებ".

უცხოეთის ამბები

გეტმან სკოროპადსკის მამულის გაყოფა. კოსტრომის გუბერნიის ვეტლუგის მაზრაში გლეხები შეუდგნენ გეტმან სკოროპადსკის მამულის გაყოფას. ეს მამული უდრის სამოცი-ათას დესეტინას და მიღებული ჰქონდა ცოლის (ლერმონტოვის ქალი) მზითევში.

ბრძოლა სად. ტიხორეცკაიაზე. 26 ივლისს ბრძოლაში დამარცხებულმა ბოლშევიკებმა ტიხორეცკაიასთან დაჰკარგეს 2,500 კაცი ტყვედ, 24 ტყვიამფრქვეველი და 16 ზარბაზანი.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

ბერლინი. 7 აგვისტო. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი. გუშინდელი ბრძოლის დროს სომის ჩრდილოეთით წამოყვანილი ტყვეების რიცხვი 280 კაცამდეა. ინგლისის შემოტევა ბრეიკორის სამხრეთით ჩვენ ახალი ხაზების წინ მათი დამარცხებით დათავდა. განსაკუთრებით გაცხოველებული იყო მზვერავ რაზმების მოქმედება ლისის ორთავე ნაპირებზე. მოწინააღმდეგის დაწყებული იერიში მონდიდიეს ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოჰყვა და მოისპო.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ვესლისთან დილით ნაწილობრივი ბრძოლები გვქონდა. წამოვიყვანეთ ტყვეები. საღამოთი დიდი საარტილერიო ბრძოლა დაიწყო, რომელსაც მოჰყვა ბრესის და დიზოის ორთავე ნაპირებით მოწინააღმდეგის აგრეთვე ძლიერი იერიშები. ეს იერიშები მოვიგერიეთ ზარბაზნის ცეცხლით და საკუთარი კონტრ-იერიშებით.

პარიზი, 7 აგვისტო. უაზის და მდ. ენის შუა ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელებმა ორჯელ შემოგვიტიეს [illegible] და ტრანშე-ვალის ახლო. ეს იერიშები მოვიგერიეთ. ბერნის აღმოსავლეთით ფრანგის ჯარები ამერიკის ჯარებთან ერთად ვესლის გადავიდნენ და გამაგრდენ ჩრდილოეთ ნაპირზე. თუმცა გერმანელებმა აქ ორჯელ მოიტანეს იერიში, მაგრამ ჩვენი ჯარი მაინც აქვე დარჩა. რეიმსის ჩრდილოეთით ფრანგის ჯარებმა [illegible] და ლაონის გზების შუა 4 კილომეტრით წინ წაიწია.

პარიზი. 6 აგვისტო. (რეიტერის სააგენტო) გუშინ დილით ადრე ხელახლად დაუშვეს სროლა პარიზის მიდამოებს შორის მსროლელი ზარბაზნებით.

როტერდამი. 7 აგვისტო. ნიუ-იორკის გაზეთები იტყობინებიან რომ დასავლეთ ფრონტზე გერმანელებმა ხმარებაში შემოიღეს [illegible] ზარბაზნები. ერთი ასეთი ზარბაზანი აშკარად იქნა შენიშნული ინგლისელებისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამით იწყება ომის წარმოების ახალი მეთოდი.

სოფლის მდგომარეობა

„როგორ გაიძლო სოფლად, არ გეშინოდა"—იყო პირველი კითხვა ჩემი მეგობრისა, რომელიც აქ ჩამოსვლისას შემხვდა. გაოცებულ სახეზე ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, თითქოს იგი რაღაც გასაკვირველ ამბად სთვლიდა ინტელიგენტის სოფლად წასვლას. მხოლოდ ეხლა გამახსენდა პირველი ჩემი შიში სოფელში წასვლის წინ, როდესაც ქართველი გლეხი ხანჯლით და თოფით შეიარაღებული მეგონა, რომ ჯვარედინ გზაზე გამოჩენილი ყველა არა მისი თანამგზავრი დაეხოცებინა. მაგრამ როგორ ყოველი ფერი გაზვიადებულად გვაქვს წარმოდგენილი: ჩვენი სოფელი სულით ისევ ძველებურია, მისი წარყვნა, გათახსირება დროებითია, ზერელე. ღირს, ქართველ გლეხთან მიხვიდე, არა რომელიმე პარტიის პასპორტით, არამედ ისე, როგორც ქართველი. იგი სიამოვნებით მიგიღებს, გადაგიშლის ქართველურ ბუნებას, იმავე მადლიანი გულახდილობით, დარბაისლურ სიტყვა-პასუხით, მასთან ერთგვარ მელანქოლიურ დაზიდულობით, რომელიც [illegible] მის სულის ღრმა [illegible]:

— სხვა, როდის გათავდება ყველა ეს?—აი მისი საკითხი. იმასაც მოუწყინა ზედაპირული გატაცება, სინამდვილეს დაუბრუნა გული და უნებურად ძველ კონსერვატიულ ტრადიციებს უბრუნდება.

მაგალითი გნებავთ? რა შექნება ამაზე მეტი დამახასიათებელი, როგორიცაა, ვთქვათ, თუნდა რელიგია და ქრისტიანულ კულტებში ჩართული წარმართულ სულის აღმაფრენა. ყველა იმის შემდეგ, რაც უკანასკნელი პროპაგანდისტთა მიერ ტყვია-წამალი დაიხარჯა რელიგიის დასანგრევად, ყველა იმის შემდეგ, რაც მთავრობამ საგანგებო დეკრეტითაც კი სასულიერო სასწავლებელთა გაუქმების შესახებ დასტური დასცა ათეიზმის გამეფებას სოფლად—ქალაქად, ყველა იმ ვაკხანალიის შემდეგ, რაიც ხატებისა და ჯვრის შეურაცხყოფაში გამოჰხატეს ზოგიერთა ტლანქ და უხეშმა დემაგოგმა,—სოფელი განაგრძობს ძველი სულით სუნთქვას, ძველ ჩვეულებათა ასე ვთქვათ [illegible] ცოხნას.

ყველა სოფელს აქვს, მოგეხსენებათ თავისი ეკლესია, თავისი სადიდებელი ხატი, რომლის [illegible] ჰმართავს დღესასწაულს. წელსაც, ამ საზოგადო გაჭირვების დროს ამ დღესასწაულებს არ დაუკარგავთ არავითარი თავისი ღირსება - ნაკლულევანებით აღსავსე მნიშვნელობა. არა თუ მხოლოდ დღესასწაულის სოფელი, არამედ მახლობელი და შორეული სტუმრებიც ძველის ჩვეულებისამებრ [illegible] დღეობის სანახავად, იქვე [illegible] საკლავი, ლოცვა და პარაკლისი, თვით [illegible] ასე ვთქვათ გ. ბოლშევიკებული „[illegible]" კი მღერის და საკომპანიოდ კუპლეტებში თქვენ გესმით „წმინდა გიორგი ცხოველი" და მის მსგავსი [illegible] ხოტბა-დიდება ხატისადმი, რაიც ასე რიგად [illegible] ძველი ქართველის გულს, იგივე [illegible], იგივე [illegible] ამ თუ იმ სოფლის თავის გამოდება. [illegible] მხოლოდ [illegible] „[illegible]" [illegible] ქანწური. ასეთია ჩვენი „[illegible] სოციალისტებული" სოფელი, ასეთია ის საშიშარი სოფელი, რომელშიაც „[illegible]" ამ ზაფხულს, სადაც [illegible] დავსხედით ისე, როგორც წინად, როცა სოფელს მივაშურებდით ქალაქის ხმაურობით მოქანცულნი...

* * *

ზემოდ „[illegible]" [illegible] ვახსენე. ეხლა მსურს ცოტაოდენი იმაზეც მოგახსენოთ.

თუ რამე არღვევს ჩვენი სოფლის მყუდროებას, ეს ლტოლვილები გახლავთ. [illegible] არ გეგონოთ ვინ არიან ლტოლვილნი ჩვენი სოფლისათვის? ნამდვილი პოლიტიკური ბაცილები, რომელნიც [illegible]

ანადგურებენ როგორც ქართლის ბარაქა-დოვლათს, ისე მის რწმენას.

თქვენ გიკვირთ, რომ ჩვენი სოფლელი „გაბღაირია" და პურს ძვირად გაძლევთ? გიკვირთ, რომ დღეს და მთელი დღეს მიუხვდით მნიშვნელობას იესოს მიერ თქმულს „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს?"—გიკვირთ, რომ ამ „არსობით პურში" წონა ოქროსა თხოულობენ? რა არის აქ საკვირველი? გაიხედეთ ქართლის სოფლებში, ვინ დაძრწიან, ვინ მოსდებიან კალიასავით, ვინ მოედინებიან დატვირთულ საპნდრებით, ვინ გამოდიან ლუკმა გამშრალ ქართველის მეტოქედ? ვინ და ეს ლტოლვილნი, რომელნიც პარაზიტთა საოცარის ცნებით მოჰხვევიან ჩვენს სოფლებს, გულღვიძლს უღრღნიან, ართმევენ პურს, ართმევენ ყველა იმ ფასებში, რასაც გლეხი კაცი დაუფასებს. გაოცებათ, საიდან შოულობენ ლტოლვილნი ფულს? საიდან, როგორ? თავიანთი გამჭრიახობით! იმ ფულით, რასაც მათთვის მზრუნველი კომიტეტები აძლევენ, მიდიან სოფლად, ყიდულობენ პურს, მოაქვთ გორში, თბილისში და აძლევენ ვაჭრობას. გორის ბაზარში ეხლა მათ კონკურენციას ვერვინ უწევს. ხშირად მიმდგარა რკინისგზაზე საქმე. გორის ახლოს ამ ლტოლვილთა გამოისად მასიური ისეთი ძლიერი უკმაყოფილება, რომ კინაღამ ლიდს აჯანყებამდე არ გადაიქცა. თხოულობდნენ ლტოლვილთა დაყვანას. თხოულობდნენ პურს, რომელიც სამართლიანად მათი კუთვნილი და ლტოლვილთათვის კი იპარებოდა, —რა გზით, ეს სულ ერთია. გორის ქალაქის მმართველობას და კომისარიატს ახსოვს მოქალაქეთა რისხვა, რამაც ფეხწასულთ ერთგვარი საფრთხეც კი მოახდინა. ვინაა თავდები, რომ ხვალაც ასე არ იქნება. და რისთვის ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობისთვის ბრძოლაში ლუკმა პურის გამწყვეტი პარაზიტები ჩაუსახლდნენ. გორმა კარგად იცის, რომ სოფლელთა შიმშილის ამხსნელნი ისინი არიან და ამიტომაც მოითხოვენ მათს ჩქარა გაყვანას, ვიდრე... აქ წერტილების გაგრძელებას, რა თქმა უნდა, გულზვიადობის მწუხარე იძლევა, რაც ავდრების მოლოდინშია მხოლოდ...

* * *

ლტოლვილებზე ვთქვი, პარაზიტები არიან როგორც ფიზიკური არსებობისა, ისე პოლიტიკური მხრითაც მეთქი. ესეც ჭეშმარიტებაა. ვინა ჰყავს სოფელს? ლტოლვილნი. ეხლა ნუ გამოფუძნებით სოფელს „ნაპაზიცირ" გაბოლშევიკებულს. ასეთები ან მოატყუეს, ან და სულ აღარ არიან. ლტოლვილნი კი უცნაურ დევიზით სადგენტის წარმომადგენელნი არიან. მათი მეოხებით ვრცელდება დაუჯერებელი რამ ამბავი: „თბილისი იწვის"... ან და „ამდენი ათასი ბოლშევიკი მოაწყდა ქალაქს"... ან და ეს: „ჟორდანიამ ბატონ-ყმობა აღადგინა, მიწებს იმიტომ გართმევთ, რომ თავადებს გადასცეს"... ვინ მოსთვლის, რამდენ ამისთანას არ გაიგონებთ. ესენი უტეხენ სახელს ჩვენს ერის სხვა და სხვა კუთხეებს. მათის წყალობით ქართველთა შორის აძულვარება თესვაზე გაუხეშებისა და საზოგადოდ იმერთა მიმართ. „ჟორდანიამ მხოლოდ გურია დაიცვა და ეთ ქათამში და ასიოდე კვერცხში გაჰყიდა ახალციხე".

— როგორ?

— ჟორდანია გურულია, მთელი ძალები იმის დაცვას მოანდომა. ახალციხისკენ კი ომი იყო, იქაურ თათრებმა ათი ქათამი და ასიოდე კვერცხი მიართვეს, ამითი მოიგეს მას გული და იქაური ქართველობა გაჰყიდეს"...

მე არ ვიცი, იყო თუ არა საზოგადოდ ჟორდანია ამ შხარეს, ან და ეცადა თოფითა და ჯინჯილით იქითაც გაგეტაცა, მაგრამ ქართლში უმეტესად ასეთს ხმებს ავრცელებენ და ხმებს გამავრცელებელნი საზოგადოდ ამ ლტოლვილთა წრეებიდან ამოტივტივებული საეჭვო პიროვნებანი გახლავან, რომელთა ამაგზე სოფელი ვერ არჩევს თუნდა იმიტომ, რომ სოფელი სენსაციის მოყვარულია და ასეთი სასენსაციო ამბავი რაღა იქნება, როგორიცაა ჟორდანიას მიერ ახალციხის გაყიდვა, და არა თუ ახალციხისა, არამედ მთელი საქართველოსი, ვინაიდან „გარშემო სულ გურულები და იმერლობა შემოიკრიბაო"... დაუფიქრდით ამ სიტყვებს, საით ეწვევიან პროვოკაციის ბაცილები ჩვენს გულუბრყვილო გლეხკაცობას! განა თუ გასაკვირველი იქნება ის არაჩვეულებრივი გულგრილობა, რასაც იჩენს დღეს ჩვენი სოფელი უნიადაგო უსაყვარლეს პროპაგანდისტთა წინაშე, რომლითაც უწინ ასე რიგად ეთაყვანებოდა იგი.

De—ka.

(შემდეგი იქნება)

ქართველ იურისტთა

კვირას 4 მარიამობისთვეს ქართულ საზოგადო საკრებულოს ზამთრის შენობის დარბაზში ქართულ იურიდიულ საზოგადოების დაარსების შესახებ წინასწარ მოსათათბირებლად შესდგა ქართველ იურისტთა კრება, რომელსაც დაესწრენ საკმარისი რიცხვი ვექილებისა და სასამართლოს მოსამსახურე იურისტები.

კრება გაიხსნა მომხსენებლის გ. შალიკაშვილის თავმჯდომარეობით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი იმის შესახებ თუ რამდენად საჭიროა ქართულ იურიდიულ საზოგადოების დაარსება როდესაც უკვე კავკასიის იურიდიული საზოგადოება არსებობს.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრების უმეტეს ნაწილმა გამოარკვია, რომ უმრავლესობა მოწადინებულია დაარსდეს ქართული იურიდიული საზოგადოება კავკასიის საზოგადოებისგან სრულიად დამოუკიდებლად; დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ქართულ იურიდიულ საზოგადოების დაარსების ნიადაგის მოსამზადებლად და ამის პროექტ-წესდების შესადგენად დაუყოვნებლივ აირჩეს კომისია, რომელიც პროექტ-წესდების შემუშავებისთანავე ახლო მომავალში მოიწვევს ქართველ იურისტთა უფრო ფართე საერთო კრებას ხსენებულ საზოგადოების დასაფუძნებლად. კომისიაში არჩეულ იქნენ ი. ბარათაშვილი, ივ. ზურაბიშვილი, სარაჯიშვილი, გ. შალიკაშვილი, გ. ჟორდანია, ი. ლისხაშვილი და ახნაზაროვი.

დამსწრე.

საუფლისწულო მამულების სარდაფი თბილისში

ამას წინად, შემთხვევა მომეცა თბილისში დამეთვალიერებინა საუფლისწულო მამულების სარდაფი წყნეთის ქუჩაზე.

სარდაფი აშენებულია 1898 წ. და დიდი ევროპიულ სადგომურს წარმოადგენს. იგი უპირველესი სარდაფია საქართველოში. საზოგადოდ ყოფილი საუფლისწულო მამულები დიდი სიმდიდრეა ერისათვის. გაიხსენეთ, კახეთის, მუხრანის (ქართლში) ბორჯომის და სხვა მამულები. კულტურულად მოვლილი და შენახული.

შემდეგში იქ, ალბათ სამეურნეო სასწავლებლები დაარსდება და მამულიც ერის საუნჯედ იქცევა. ახლავე ყურადღება უნდა მიექცეს რომ არ გაფუჭდეს იგი და უცხო ხელი არ შევიდეს შიგ, სამოქმედოდ.

საუფლისწულო მამულების სარდაფი თბილისში დაყენებულია ევროპულ წესრიგზე და დიდ ყურადღებას იქცევს. სარდაფი შეიცავს ოცდა ერთ საწყობს. საწყობებში სხვა თა შორის შენახულია 25 წლის ღვინო. აქვეა სასახლიდან დროებით გადმოტანილი ძვირფასი, საზღვარ გარეთული ღვინოები. ყველი აღნიშნული ძვირფასად და მტკიცე წესრიგითაა დაცული. სრული ქონება რამდენიმე მილიონის საფასურია. სარდაფს ზედამხედველობს მცოდნე პირი ბატ. იორამ თარხნიშვილი—გულწრფელი მუშაკი და მეტად თავაზიანი. მისი მადლიანი ხელმძღვანელობა სარდაფის წესრიგს.

— ამ დღეებში გვეხსენა გერმანელ ოფიცრებმა.

აღტაცებაში მოსულთ მადლობა გადაუხადეს, მკვლევარნი კი ფუფუნებით ბოლდ ეკიდებიან ამ საუნჯეს—მტკიცედ აღნიშნა ბ-ნმა იორამმა.

მეურნეთა ცხოვრების პირობები, სხვასთან შედარებით აქ უფრო ხელსაყრელია თუმცა სარდაფის ჰაერი, აქაც რამდენიმე წელიწადში ასნეულებს მუშას, რასაც ზედ ერთვის მძიმე დღიური ზიანობა.

გ. ლ—ძე.

ღია წერილი

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს

შარშან, ქართველ მწერალთა პირველ თათბირზე, უცილო გახდა სახელმწიფო ჟურნალის გამოცემა.

პირად პირობებით ყველა თავისუფლად შეითქვა საქმისათვის, ნაკვეთი დღემდის არაფერია. ჩვენ არ ვიტყვით რომ ძნელი არ იყოს ჩვენი გარემოება, თუმცა აგეთ მიზეზობით ხშირად გვესარგებლია. მაგრამ რაღა არ გვესურს შევეცნოთ რომ ხელოვნების ტაძრებს ცეცხლის კბილები ჰკვეთავენ ყველგან. გინდ საფრანგეთში, გინდ შავი პირით ანთებულ რუსეთში, სადაც საუნჯესაც კი განძნელდა ჯვარცმული პოეტები სულ მთლად არ არიან ჩამოხრჩობილნი. თვით პეტროგრადში არსებულია წიგნები, ჟურნალები და სხვათა შორის ყოველდღიური სახელოვნო გაზეთი „ორიონი"-ც კი გამოდის.

ვინ არის ჩვენში ამის მტკვირთველი? რას აკეთებს საამისოს ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო, რას ელის საჟურნალო თანხა?..

გ. ლეონიძე.

თბილისის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო: ბარბარე იოსების ასულის ლვინიაშვილისაგან ათი წიგნი სხვა და სხვა აღმოსავლეთურ ენაზე; ალექსანდრე ნემანისაგან 19-ე საუკუნის ერთი ხელთნაწერი; გიორგი ბურჭულაძისაგან „კვალი" უკანასკნელი შვიდი წლისა, ზოგი ნომრების გამოკლებით, „მოგზაური" 1903 წ., „ერი" 1910 წ., „საქართველოს მოამბე" 1910 წლ., კლდე 1914 წ. „ივერია" 1906 წ. განათლება 1908 წ. 1 წიგნი, 1914 წლ. 1 წიგნი, 1910, 11 და 12 წლების ზოგი ნომრები; „ცნობის ფურცლის" დამატებანი 1902—06 წლ. ზოგი ნომრების გამოკლებით, ორი ხელთნაწერი ახალი დროისა, ბერძენი ბაქრაძის რუსული წიგნი—არქეოლოგიური და მისივე ნაწარმოების „გერმანელების ახალშენები ამიერ-კავკასიაში"; გენერალ გ. დ. გაბაშვილისაგან 1 ატლასი, 52 წიგნი, ჟურნალები და რუკები, ერთი პატარა ყუთი და თორი შუშის ქუთით; ან. ახალშენიშვილისაგან თბილისის პირველ დაწყებით სკოლების ქართ. მასწავლებელთა შორის შეგროვილი სამას ათი მანეთი და 50 კაპ., ნიკ. ბაქრაძისაგან სოფ. ნორიოს მომხმარებელი საზოგადოებისაგან შემოწირული ოც-და-ხუთი მან.; სოფ. ჯოლევში (სამეგრელოში) გამართულ წარმოდგენიდან შემოსული ორასი მანეთი-ფული გადმოგვცა ამ საქმის ინიციატორთაგანმა კაპიტ. ი. ანჯაფარიძემ.

უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

რადგან ამ ბოლო დროს გასასყიდათ გამოაქვთ

ყალბი კონიაკი

რომელსაც ბოთლებზე მიკრული აქვს ეტიკეტი

„დ. ზ. სარაჯიშვილი"-ს

ფირმისა, ხსენებულ ფირმის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმ კონიაკს თვისებაზე რომელიც პირდაპირ ქარხანაში არ არის ნაყიდი იგი არავითარ პასუხისმგებლობას არა კისრულობს. (ქარხანა მოთავსებულია ოლღას ქუჩა, სახლი № 30).

2—1731—1

პარასკევს, 9 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე (ახალ დროით) სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

ტ. მარგველაშვილი წაიკითხავს მოხსენებას

ერობის შესახებ

დასწრება შეუძლიანთ პარტიის თანამგრძნობლებსაც. 2—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია იმყოფება „საქართველოს" რედაქციაში.

კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 11—2 საათამდის და 7—8 ს. სად. (ახალ დროთი.

1918 წ. ივლისის 25-და ქ. თბილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით

„საქართველოს რესპუბლიკა"

გაზეთის ფასი 1 თვით 10 მანეთი; ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი ბარონის ქუჩა № 6.

რედაქტორი ბ. დ. ხაჭვარელიძე.

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს

გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო

„საქართველო" ყოფილი „ამირანი"

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეთებით

დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.

ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.

სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები [illegible]

საუკეთესო მასალიდან საუკეთესო მზარ. ხელმძღვანელობით

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტერენტიევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შემოუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები დანიშნულია გაზ. „კავკაზის" 6 ივლისის № 138-ში

მედიცინის დოქტორი მოსკოვის უნივერსიტეტისა

ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—6 სად. შინაგანი, ბავშვების, სამშობიარო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიონის ეკლესიის გვერდზე.

2 თვ.—1658.

ექიმი

მ. ი. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კაზანის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოთერაპიით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან. 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის ფილტვისა და სისხლის სპეციალისტი. მისამართი: ელისაბედის ქ. 7 სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ნ. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეგიანის

საავადმყოფოში იღებენ ... ხიზნებს ... ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და (ბარონის ქუჩ. კუთხე № 22 ... ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს.-მდე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—6 საათამდე.

ღარიბებს მიიღებენ კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

ქეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება დილის 6 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუ მორიალის"

ტელეფონი 14—28.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნაშუადღ. საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

დოქტორი მედიცინისა

მოსკ. უნივერსიტეტის მე

კალანდარიშვილი

[illegible]

ტელ. № 17—21.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შარდის (ცისტ...) და მისი შარდის გზების დაავადებულ ბუშტით, სისხლის ნაკლებობით, გულის, ფილტვისა, ქანებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—49